



# საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ფრაქცია „ქართული ოცნება – მწვანეები“

**G E O R G I A**

**Rustavi Municipality City Assembly  
Faction „Georgian Dream - Greens“**

N 13407-02  
01/11/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს  
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული  
კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიშს.


გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

ბონდო მამულაშვილი

სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის  
თავმჯდომარე



## საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

---

---

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ  
ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:

ბონდო მამულაშვილი

საანგარიშო პერიოდი:

20.11.2017 – 01.11.2018

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“-ს თავმჯდომარე

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;
2. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი;

დროებითი სამუშაო ჯგუფები:

1. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

▪ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 27 სხდომა (13 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 26 სხდომა;

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 25 სხდომა;

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 17 სხდომა;

---

▪ საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

70 დადგენილება;

178 განკარგულება;

---

▪ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

▪ კომისიები:

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია

ჩატარდა - 17 სხდომა;

დასწრება - 14 სხდომა;

---

სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 9 სხდომა;

დასწრება - 8 სხდომა;

▪ ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“

ჩატარდა - 2 სხდომა;

დასწრება - 2 სხდომა;

---

▪ დროებითი სამუშაო ჯგუფები:

სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

ჩატარდა - 5 სხდომა;

დასწრება - 5 სხდომა;

---

▪ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

„მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრი.

---

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთდებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2017 – 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

---

**❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეებმა“ გამოთქვეს ინიციატივა, აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლით, საკრებულომ მიმართოს შესაბამის უწყებას ქალაქ რუსთავში, იაღლუჯის ფერდობზე 110 ჰექტარი მიწის ფართობის რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ტერიტორიის შემდგომი განვითარების მიზნით.

„სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის“ ინიციატივით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის, რაც ითვალისწინებდა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა, ასევე სკოლის ექიმების პროფესიულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

გვექონდა შეხვედრები რუსთავის საჯარო სკოლის დირექტორებთან ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგებთან დაკავშირებით, აგრეთვე

სკოლებში სპორტ - დარბაზების მოწყობისა და მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტული გარემოს შექმნის თაობაზე.

წარმატებით ჩატარდა კრივში 2018 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნული ჩემპიონატი დაასახელა, როგორც საუკეთესო, რომელიც კი საერთოდ ჩატარებულა საქართველოში.

ვიმედოვნებ, გამოცდილების საფუძველზე მოქალაქეების საკეთილდღეოდ უკეთესად გადაიჭრება მათთვის საჭირობოროტო საკითხები.

შევსების თარიღი: 01.11.2018 წელი.

ხელმოწერა: ბონდო მამულაშვილი